დამტკიცებულია ცვლილებებით
მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“
2023 წლის 30 დეკემბრის მე-7 რიგგარეშე ყრილობის მიერ

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების
„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“
წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. პარტიის სტატუსი, სახელწოდება და იურიდიული მისამართი

1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (შემდეგში - „პარტია“) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება.

2. პარტია არის საჯარო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აქვს ბეჭედი, ბლანკი, ანგარიში საქართველოს საბანკო დაწესებულებაში და იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი სხვა რეკვიზიტები.

3. პარტიის ოფიციალური სრული სახელწოდებაა: ქართული ენაზე - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, ინგლისურ ენაზე - Political Union of Citizens „Georgian Dream – Democratic Georgia“. პარტიის შემოკლებული დასახელებაა ქართულ ენაზე: მპგ „ქართული ოცნება“, ინგლისურ ენაზე - PUC „Georgian Dream“.

4. პარტიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი - 0114, ერეკლე II-ის მოედანი/ანტონ კათალიკოსის ქუჩა 3/36.

მუხლი 2. პარტიის მიზანი და ამოცანები

1. პარტია არის მემარცხენე ცენტრისტული გაერთიანება, რომლის მიზანია მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გამოხატვაში მონაწილეობა.

2. პარტიის ამოცანებია:

ა) საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს, დემოკრატიისა და სოციალური სახელმწიფოს პრინციპების რეალიზება, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის უზრუნველყოფა;

ბ) საქართველოში დემოკრატიული და ქმედითი მმართველობის სისტემის ჩამოყალიბება, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება;

გ) საქართველოში დემოკრატიული, ქმედითი და სტაბილური პოლიტიკური სისტემის განვითარება;

დ) საქართველოს მოქალაქეთა სამოქალაქო და პოლიტიკური აქტიურობის ხელშეწყობა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერა;

ე) ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული წინსვლისა და მოქალაქეთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ინტერესების რეალიზების უზრუნველყოფა;

ვ) საზღვარგარეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მშვიდობიანი და ქმედითი თანამშრომლობის უზრუნველყოფა, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაცია;

ზ) საქართველოს სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

თ) საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

3. პარტია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პოლიტიკური მსოფლმხედველობის გავრცელების, მხარდამჭერთა შემოკრების, არჩევნებში მონაწილეობის, ხელისუფლების განხორციელებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფორმების გამოყენებით.

მუხლი 3. პარტიის წევრად მიღებისა და წევრობის შეწყვეტის წესი და პირობები, წევრის უფლება-მოვალეობები და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი

1. პარტიის წევრი შეიძლება იყოს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სარგებლობს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებაში გაწევრიანების უფლებით, აღიარებს პარტიის წესდებას და მზად არის მონაწილეობა მიიღოს პარტიის საქმიანობაში.

2. პირი პარტიაში წევრიანდება მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც პარტიის არანაკლებ ერთი წევრის რეკომენდაციის თანხლებით წარედგინება პარტიის შესაბამისი საოლქო (რაიონული/საქალაქო) ორგანიზაციის აღმასრულებელ ორგანოს. საოლქო (რაიონული/საქალაქო) ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანო განცხადებას იხილავს და პარტიის სამდივნოს დადებით ან უარყოფით დასკვნას უგზავნის განცხადების მიღებიდან 14 დღის ვადაში. პარტიის სამდივნო გადაწყვეტილებას წევრად მიღების ან წევრად მიღებაზე უარის თქმის შესახებ იღებს და განმცხადებელს აცნობს დასკვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში. პირი მისი განცხადების შესაბამისად პარტიის სამდივნოს გადაწყვეტილებით აღირიცხება შესაბამისი საოლქო (რაიონული/საქალაქო) ორგანიზაციის წევრად. გადაწყვეტილება პარტიის წევრობაზე უარის თქმის შესახებ მისი გაცნობიდან 14 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს პარტიის პოლიტიკურ საბჭოში. განსაკუთრებულ შემთხვევაში პარტიის პოლიტიკურმა საბჭომ პირი მისი მიმართვის საფუძველზე პარტიის წევრად შეიძლება მიიღოს საოლქო (რაიონულ/საქალაქო) ორგანიზაციაში წერილობითი განცხადების წარდგენის გარეშე.

3. პარტიიდან გასვლა თავისუფალია. პარტიიდან გასვლის თაობაზე პარტიის წევრი წერილობითი განცხადებით მიმართავს პარტიის სამდივნოს ან შესაბამის საოლქო (რაიონულ/საქალაქო) ორგანიზაციას. პარტიიდან გასვლა ასევე შესაძლებელია საჯარო განცხადებით. პირი პარტიიდან გასულად ჩაითვლება წერილობითი განცხადების ჩაბარების ან საჯარო განცხადების გაკეთების მომენტიდან. პარტიის საოლქო (რაიონული/საქალაქო) ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანო პარტიიდან გასვლის თაობაზე განცხადების მიღების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პარტიის სამდივნოს.

4. პარტიის წევრს უფლება აქვს:

ა) პარტიის წესდების შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს პარტიის ორგანოებისა და თანამდებობის პირების არჩევაში;

ბ) პოლიტიკური საბჭოს მიერ დადგენილი წესით დაესწროს პარტიის ორგანოების ღია სხდომებს;

გ) მიმართოს პარტიის შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს წერილობითი განცხადებით, რომელსაც მიმართვიდან 30 დღის ვადაში უნდა გაეცეს პასუხი;

დ) პარტიის ორგანოებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ დადგენილი წესით პარტიის ამოცანების განსახორციელებლად ისარგებლოს პარტიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

5. პარტიის წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას პარტიის წესდება და მონაწილეობა მიიღოს პარტიის მიზნისა და ამოცანების განხორციელებაში;

ბ) დაემორჩილოს პარტიულ დისციპლინას, დაიცვას პარტიის მიერ დადგენილი წესები და კეთილსინდისიერად შეასრულოს პარტიის ორგანოებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილებები;

გ) მოთხოვნის შემთხვევაში პარტიის ორგანოს ჩააბაროს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ;

დ) საჯარო წარმომადგენლობით ორგანოში არჩევის შემთხვევაში გაერთიანდეს პარტიის მიერ ან პარტიის მონაწილეობით შექმნილ ფრაქციაში;

ე) მონაწილეობა არ მიიღოს საქმიანობაში და არ გააკეთოს განცხადება, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის პოლიტიკურ კურსს, პოზიციას, მიზანსა და ამოცანებს;

ვ) თავისი ქმედებით არ დაუშვას პარტიის დისკრედიტაცია;

ზ) პარტიის პოლიტიკური საბჭოს მიერ დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით გადაიხადოს საწევრო შენატანი;

თ) გაუფრთხილდეს პარტიის ქონებას და ფინანსურ სახსრებს;

ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პარტიის წევრობასთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს პარტიის სამდივნოს და გავიდე ს პარტიიდან;

კ) კეთილსინდისიერად შეასრულოს პარტიის წესდების შესაბამისად მისთვის დაკისრებული სხვა მოვალეობანი.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი ვალდებულებების უგულებელყოფისთვის პარტიის წევრის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი დისციპლინური ზომები: წერილობითი გაფრთხილება; პარტიიდან გარიცხვა. პარტიის წევრის დისციპლინურ დევნას საოლქო (რაიონული/საქალაქო) ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოს წინადადებით ან მის გარეშე აწარმოებს პარტიის სამდივნო. პარტიის სამდივნოს გადაწყვეტილება დისციპლინური ზომის დაკისრების შესახებ წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული და იგი მიღებიდან 14 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს პარტიის პოლიტიკურ საბჭოში.

7. პარტიის წევრობის შეწყვეტის საფუძვლებია: პარტიიდან გასვლა; პარტიიდან გარიცხვა; გარდაცვალება; გარემოების დადგომა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად გამორიცხავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებაში პირის წევრობას. პირს პარტიის წევრობა უწყდება შესაბამისი გარემოების დადგომის მომენტიდან. პარტიის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში, პირი ტოვებს პარტიაში დაკავებულ ნებისმიერ თანამდებობას.

მუხლი 4. პარტიის სტრუქტურა

1. პარტიის ორგანოებია:

ა) პარტიის ყრილობა;

ბ) პარტიის პოლიტიკური საბჭო;

გ) პარტიის სარევიზიო კომისია;

გ[1]) პარტიის საპატიო თავმჯდომარე;

დ) პარტიის თავმჯდომარე;

ე) პარტიის გენერალური მდივანი;

ე[1]) პარტიის პოლიტიკური მდივანი;

ვ) პარტიის თავმჯდომარის მოადგილე;

ზ) პარტიის სამდივნო.

2. პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია;

ბ) პარტიის ქალთა ორგანიზაცია;

გ) პარტიის საოლქო (რაიონული/საქალაქო) ორგანიზაცია.

3. სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებას ამტკიცებს პარტიის პოლიტიკური საბჭო. სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი პარტიის პოლიტიკური საბჭოს წარდგინებით აირჩევა შესაბამისი ორგანიზაციის კონფერენციაზე. სტრუქტურული ქვედანაყოფი ვალდებულია შეასრულოს პარტიის ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში მიცემული დავალებები.

4. პარტიის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს პარტიის ცენტრალური აპარატი, რომლის დებულებას პარტიის გენერალური მდივნის წარდგინებით ამტკიცებს პარტიის პოლიტიკური საბჭო.

მუხლი 5. პარტიის ყრილობა

1. პარტიის ყრილობა არის პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი და წარმომადგენლობითი ორგანო.

2. პარტიის რიგით ყრილობას პარტიის თავმჯდომარის ბოლო არჩევნების ჩატარებიდან 4 წლის თავზე იწვევს პარტიის თავმჯდომარე ან პოლიტიკური საბჭო.

3. პარტიის საპატიო თავმჯდომარის, პარტიის თავმჯდომარის ან პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება მოწვეულ იქნეს პარტიის რიგგარეშე ყრილობა. პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობის 8 წევრამდე შემცირების შემთხვევაში, პარტიის რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა პოლიტიკური საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტიდან არა უგვიანეს მე-60 დღისა.

4. ყრილობაზე მოიწვევა პარტიის პოლიტიკური საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად პარტიის პოლიტიკური საბჭოს მიერ და საოლქო (რაიონული/საქალაქო) ორგანიზაციების კონფერენციებზე არჩეული არანაკლებ 300 დელეგატი. დელეგატები აირჩევიან თანასწორობის პრინციპის შესაბამისად, იმგვარად, რომ ყოველი საოლქო (რაიონული/საქალაქო) ორგანიზაციის კონფერენციაზე აირჩეს 2 დელეგატი მაინც. საოლქო (რაიონულ/საქალაქო) ორგანიზაციებზე კვოტების განაწილებისა და დელეგატების არჩევის წესს ამტკიცებს პარტიის პოლიტიკური საბჭო. პარტიის პოლიტიკური საბჭოს მიერ არჩეულ დელეგატთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დელეგატთა საერთო რაოდენობის ერთ მეოთხედს. პარტიის პოლიტიკური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პარტიის რიგგარეშე ყრილობის წინა ყრილობის დელეგატთა შემადგენლობით ჩატარების თაობაზე.

5. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა ორი მესამედი მაინც. ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე დელეგატთა ხმების უმრავლესობით, თუ ამ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ყრილობა მუშაობს რეგლამენტის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს პარტიის პოლიტიკური საბჭო.

6. ყრილობა:

ა) პოლიტიკური საბჭოს წარდგინებით იღებს პარტიის წესდებას, შეაქვს წესდებაში ცვლილებები;

ბ) ისმენს პარტიის პოლიტიკური საბჭოს ანგარიშს;

გ) ისმენს პარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიშს;

$გ^1$) პოლიტიკური საბჭოს წარდგინებით ირჩევს პარტიის საპატიო თავმჯდომარეს;

დ) პოლიტიკური საბჭოს წარდგინებით, ხოლო თუ პოლიტიკური საბჭო კანდიდატს ვერ წარადგენს - ყრილობის დელეგატთა არა ნაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით 4 წლის ვადით ირჩევს პარტიის თავმჯდომარეს;

ე) პოლიტიკური საბჭოს წარდგინებით, ხოლო თუ პოლიტიკური საბჭო კანდიდატს ვერ წარადგენს - ყრილობის დელეგატთა არა ნაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით, მომდევნო ყრილობამდე უფლებამოსილების ვადით ირჩევს პოლიტიკური საბჭოს წევრებს და სარევიზიო კომისიის წევრებს;

ვ) იღებს გადაწყვეტილებებს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდებით გათვალისწინებულ საკითხებზე.

7. ყრილობის გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ ყრილობის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 6. პარტიის პოლიტიკური საბჭო

1. პარტიის პოლიტიკური საბჭო არის პარტიის აღმასრულებელი ორგანო.

2. პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაში შედიან პარტიის საპატიო თავმჯდომარე, პარტიის თავმჯდომარე და პარტიის ყრილობის მიერ არჩეული 15 წევრი.

3. პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით პოლიტიკური საბჭოს მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნეს პარტიის არა უმეტეს 5 წევრი.

4. პოლიტიკური საბჭოს სხდომას იწვევს პარტიის საპატიო თავმჯდომარე ან პარტიის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან პოლიტიკური საბჭოს წევრთა არა ნაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით. პოლიტიკური საბჭო უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. პოლიტიკური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. პოლიტიკური საბჭო მუშაობს რეგლამენტის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს პოლიტიკური საბჭო.

5. პოლიტიკური საბჭო:

ა) უზრუნველყოფს ყრილობის გადაწყვეტილებათა აღსრულებას;

ირაკლი ციხაძე

ბ) ამტკიცებს პარტიის სტრატეგიულ და პროგრამულ დოკუმენტებს;

გ) ამტკიცებს პარტიის ბიუჯეტს;

დ) იღებს გადაწყვეტილებებს პარტიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე;

ე) ყრილობის ჩატარებამდე არა უგვიანეს 7 დღისა ყრილობას ასარჩევად წარუდგენს პარტიის თავმჯდომარის, პოლიტიკური საბჭოს წევრებისა და სარევიზიო კომისიის წევრების კანდიდატურებს;

ვ) ყველა დონის არჩევნებისთვის იღებს გადაწყვეტილებას არჩევნებში მონაწილეობის, აგრეთვე საარჩევნო ბლოკსა და პოლიტიკურ კოალიციაში პარტიის გაწევრიანების შესახებ, ქმნის საარჩევნო შტაბს და ირჩევს მის ხელმძღვანელს, ამტკიცებს პარტიის მიერ წარსადგენ კანდიდატს და/ან კანდიდატთა სიას;

ვ[1]) პარტიის საპატიო თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას;

ზ) პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობიდან თანამდებობაზე ირჩევს და პარტიის თავმჯდომარის წინადადებით თანამდებობიდან ათავისუფლებს პარტიის გენერალურ მდივანს, პარტიის პოლიტიკურ მდივანსა და პარტიის თავმჯდომარის მოადგილეს;

თ) ამტკიცებს პარტიის ცენტრალური აპარატისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს, ამტკიცებს სტრუქტურული ქვედანაყოფების თავმჯდომარეების კანდიდატურებს;

ი) აუქმებს პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის წესდებას და სტრატეგიულ და პროგრამულ დოკუმენტებს;

კ) განსაკუთრებულ შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას პირის პარტიის წევრად მიღების თაობაზე;

ლ) წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში განიხილავს პარტიის წევრების საჩივრებს, შესაბამისი გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას პარტიის წევრად მიღებისა და წევრობის აღდგენის შესახებ;

მ) იღებს გადაწყვეტილებას საწევრო შენატანის დაწესების თაობაზე და ადგენს მისი გადახდის წესს;

ნ) იღებს გადაწყვეტილებას ყველა იმ საკითხზე, რომლის გადაწყვეტა არ განეკუთვნება პარტიის სხვა ორგანოს, თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას;

ო) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

6. პოლიტიკური საბჭო ანგარიშვალდებულია ყრილობის წინაშე.

7. პოლიტიკური საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება პარტიის ყრილობის მიერ პოლიტიკური საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევის, პარტიის წევრობის შეწყვეტის ან გადადგომის მომენტიდან.

8. პოლიტიკურ საბჭოს უფლებამოსილება უწყდება ყრილობის მიერ პოლიტიკური საბჭოს ახალი შემადგენლობის არჩევის ან პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობის 8 წევრამდე შემცირების მომენტიდან.

მუხლი 6[1]. პარტიის საპატიო თავმჯდომარე

1. პარტიის საპატიო თავმჯდომარედ პარტიის ყრილობამ შეიძლება აირჩიოს პირი, რომელსაც მიუძღვის განსაკუთრებული დამსახურება ქვეყნის და პარტიის წინაშე.

2. პარტიის საპატიო თავმჯდომარე არის პარტიის მთავარი პოლიტიკური მრჩეველი.

მუხლი 7. პარტიის თავმჯდომარე

1. პარტიის თავმჯდომარე არის პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი თანამდებობის პირი.

2. პარტიის თავმჯდომარეს ირჩევს პარტიის ყრილობა.

3. პარტიის თავმჯდომარე თანამდებობრივად შედის პარტიის პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაში, არის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე და წარმართავს მის მუშაობას.

4. პარტიის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს პარტიას;

ბ) საერთო ხელმძღვანელობას უწევს პარტიის სტრატეგიული დოკუმენტებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელებას;

გ) არის პარტიის ზოგად და სპეციალურ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ერთპიროვნულად წარმოადგენს პარტიას და პარტიის პოლიტიკურ საბჭოს შიდაპარტიულ და მესამე პირებთან ურთიერთობაში, გამოდის პოლიტიკური განცხადებებით პარტიის სახელით;

დ) წარმართავს პარტიის პოლიტიკური საბჭოს სხდომებს;

ე) გამოსცემს ბრძანებებს;

ვ) პარტიის პოლიტიკურ საბჭოს მისი შემადგენლობიდან ასარჩევად წარუდგენს პარტიის გენერალური მდივნის, პარტიის პოლიტიკური მდივნისა და პარტიის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურებს, პარტიის პოლიტიკურ საბჭოს მიმართავს გენერალური მდივნის, პოლიტიკური მდივნისა და თავმჯდომარის მოადგილის გათავისუფლების წინადადებით;

ზ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობისა და პარტიის წესდების შესაბამისად განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. პარტიის თავმჯდომარეს უფლებამოსილება უწყდება უფლებამოსილების ვადის გასვლის, გადადგომის ან პარტიის წევრობის შეწყვეტის მომენტიდან. პარტიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, პარტიის თავმჯდომარის არჩევამდე მის მოვალეობას ასრულებს პარტიის გენერალური მდივანი.

მუხლი 8. პარტიის გენერალური მდივანი

1. პარტიის პოლიტიკური საბჭოს და თავმჯდომარის გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზებას უზრუნველყოფს პარტიის გენერალური მდივანი.

2. გენერალური მდივანი:

ა) ხელმძღვანელობს პარტიის სტრატეგიული და პროგრამული დოკუმენტების განხორციელებას;

ბ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს;

გ) საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდებით დადგენილი წესით განკარგავს პარტიის ფულად სახსრებს და ქონებას.

დ) წარმართავს პარტიის სამდივნოს და ცენტრალური აპარატის საქმიანობას, პოლიტიკურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პარტიის სამდივნოს და ცენტრალური აპარატის დებულებებს;

ე) პარტიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით პარტიის პოლიტიკურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს კონფერენციებზე ასარჩევ სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების კანდიდატურებს;

ვ) ნიშნავს და ათავისუფლებს პარტიის ცენტრალური აპარატის თანამშრომლებს, ხელს აწერს შრომით ხელშეკრულებებს;

ზ) პოლიტიკური საბჭოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პარტიის მდივანს/მდივნებს (გარდა პოლიტიკური მდივნისა), ახორციელებს მის მიერ დანიშნულ მდივანზე მისი ცალკეული უფლებამოსილების დელეგირებას;

თ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობისა და პარტიის წესდების შესაბამისად პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. პარტიის ცენტრალური აპარატი:

ა) უზრუნველყოფს პარტიის სტრატეგიული და პროგრამული დოკუმენტებისა და სამოქმედო გეგმების მომზადებასა და განხორციელებას;

ბ) უზრუნველყოფს პარტიის ორგანოების, თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაციას;

გ) შეიმუშავებს პარტიის პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებების, თავმჯდომარის, გენერალური მდივნისა და თავმჯდომარის მოადგილის ბრძანებების პროექტებს;

დ) გეგმავს და ორგანიზებას უწევს პარტიულ ღონისძიებებს;

ე) უზრუნველყოფს პარტიაში საქმისწარმოებასა და დოკუმენტბრუნვას, აწარმოებს პარტიის წევრთა ერთიან რეესტრს;

ვ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ წესდების, პარტიის ცენტრალური აპარატის დებულებისა და პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

4. პარტიის გენერალური მდივანი ანგარიშვალდებულია პარტიის პოლიტიკური საბჭოსა და თავმჯდომარის წინაშე.

მუხლი 8[1]. პარტიის პოლიტიკური მდივანი

1. პარტიის პოლიტიკური მდივანი უზრუნველყოფს პარტიის სტრატეგიული და პროგრამული დოკუმენტების შემუშავებას და საერთო კოორდინაციას უწევს მათ განხორციელებას.

2. პარტიის პოლიტიკური მდივანი ანგარიშვალდებულია პარტიის პოლიტიკური საბჭოსა და თავმჯდომარის წინაშე.

მუხლი 9. პარტიის თავმჯდომარის მოადგილე

1. პარტიის თავმჯდომარის მოადგილე ახორციელებს პარტიის თავმჯდომარის მიერ მასზე დელეგირებულ უფლებამოსილებებს.

2. პარტიის თავმჯდომარის მოადგილე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს.

3. პარტიის თავმჯდომარის მოადგილე ანგარიშვალდებულია პარტიის პოლიტიკური საბჭოსა და თავმჯდომარის წინაშე.

მუხლი 10. პარტიის სამდივნო.

1. პარტიის სამდივნო შედგება პარტიის გენერალური მდივნისა და მდივნებისაგან.

2. პარტიის სამდივნო ამ წესდების მე-3 მუხლის შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებებს პარტიის წევრობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

3. პარტიის სამდივნოს საქმიანობის წესი განისაზღვრება სამდივნოს დებულებით, რომელსაც გენერალური მდივნის წარდგინებით ამტკიცებს პოლიტიკური საბჭო.

მუხლი 11. პარტიის სარევიზიო კომისია

1. პარტიის სარევიზიო კომისია არის პარტიის მაკონტროლებელი ორგანო.

2. სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში შედის პარტიის ყრილობის მიერ არჩეული 3 წევრი. სარევიზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პარტიის სხვა ორგანოს წევრი. სარევიზიო კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება ყრილობის მიერ სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობის არჩევის, პარტიის წევრობის შეწყვეტის ან გადადგომის მომენტიდან.

3. სარევიზიო კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან წევრთა ხმების უმრავლესობით ირჩევს სარევიზიო კომისია. სარევიზიო კომისიის სხდომას იწვევს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. სარევიზიო კომისია უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სარევიზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4. სარევიზიო კომისია უფლებამოსილია:

ა) პარტიის შესაბამისი ორგანოებიდან გამოითხოვოს თავისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტაცია;

ბ) განახორციელოს პარტიის საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობის რევიზია და თავისი დასკვნები წარუდგინოს პარტიის ყრილობას და პოლიტიკურ საბჭოს.

მუხლი 12. პარტიის ფინანსები და ქონება

1. პარტიის ქონების შექმნის წყაროებია: საწევრო შენატანები, შეწირულობები, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. პარტიას საკუთრებაში აქვს პარტიის წესდებით განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად საჭირო უძრავი და მოძრავი ქონება. პარტიის ქონების განკარგვა დასაშვებია მხოლოდ წესდებით განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად.

მუხლი 13. პარტიის სიმბოლოები

1. პარტიას აქვს ლოგო და დროშა.

2. პარტიის ლოგოზე ლურჯ ფონზე წრიულად გამოსახულია თეთრ ფერში შესრულებული სიტყვები - „ქართული ოცნება", რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია ორი თეთრი ჯვრით, წრის ცენტრში ოქროსფერი 28-ქიმიანი მზის ფონზე გამოსახულია 7-ქიმიანი ლურჯი ვარსკვლავი.

3. პარტიის დროშა არის მართკუთხა, ლურჯი ფერის ქსოვილი, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია პარტიის ლოგო, ხოლო მის ქვემოთ დატანილია წარწერა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო".

4. პარტიას აქვს ბეჭედი, შტამპი და ბლანკი.

5. პარტიას აქვს მელნიანი (ლურჯი) და ტვიფრიანი (უფერო) ბეჭედი, რომელიც არის მრგვალი ფორმის, მის ცენტრში გამოსახულია პარტიის ლოგო, ხოლო ირგვლივ წრიულად, ორ რიგად დატანილია პარტიის სრული სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი.

6. პარტიის შტამპი არის მართკუთხედი ფორმის. მის მარცხენა ზედა კუთხეში გამოსახულია პარტიის ლოგო, რომლის გასწვრივ დატანილია პარტიის სრული სახელწოდება. მათ ქვემოთ განთავსებულია სიტყვები: „სარეგისტრაციო ნომერი №", „ფურცელთა რაოდენობა", „მიღების თარიღი", „დრო", „ხელმოწერა", „გვარი". თითოეული მათგანის გასწვრივ გავლებულია სწორი ხაზი. შტამპის ქვედა ნაწილში მითითებულია პარტიის იურიდიული მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ოფიციალური ვებგვერდის მისამართი.

7. პარტიას აქვს ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ბლანკები - A4 ტიპის საოფისე ქაღალდი, რომლის ზედა ნაწილში ლურჯ ფონზე მარცხენა კუთხეში გამოსახულია პარტიის ლოგო, ხოლო ლოგოს გასწვრივ მითითებულია პარტიის შემოკლებული და სრული სახელწოდება (ქართული ოცნება, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"), ბლანკის ზედა ლურჯი ზოლის გასწვრივ მარცხენა კუთხეში დატანილია ნომრის აღმნიშვნელი, ხოლო მარჯვენა კუთხეში თარიღის აღმნიშვნელი რეკვიზიტები; ბლანკის შუა ნაწილში შესრულებულია პარტიის ლოგო წყლის ნიშნის სახით; ბლანკის ქვედა ნაწილს დაყვება ორხაზიანი ლურჯი ზოლი, რომლის ქვევით მითითებულია პარტიის იურიდიული მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ვებგვერდის მისამართი და ელექტრონული ფოსტა; ბლანკის უკანა მხარეს მარცხენა ქვედა კუთხეში ლურჯ ფერში არაბული ციფრებით გამოსახულია აღრიცხვის შესაბამისი შვიდნიშნა ნომერი.

8. პარტიის სიმბოლიკის გამოყენების წესს ადგენს პარტიის პოლიტიკური საბჭო.

მუხლი 14. პარტიის წესდების გადასინჯვა

მხოლოდ პარტიის ყრილობაა უფლებამოსილი მიიღოს პარტიის წესდება და შეიტანოს მასში ცვლილებები.

მუხლი 15. პარტიის რეორგანიზაცია და თვითლიკვიდაცია

1. გადაწყვეტილებას პარტიის რეორგანიზაციის ან თვითლიკვიდაციის თაობაზე დამსწრე დელეგატთა შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით იღებს პარტიის ყრილობა.

2. პარტიის რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება საქართველოს კანონმდებლობის და პარტიის ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 16. გარდამავალი დებულებები

1. ეს წესდება ძალაში შედის ყრილობის მიერ მიღებისთანავე.

ყრილობის თავმჯდომარე: ირაკლი კობახიძე ირაკლი კობახიძე

ყრილობის მდივანი: